

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №612

2015 წლის 4 დეკემბერი

ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 03/06/2014, 240140000.10.003.017985) დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეწარმე სუბიექტი – ამ პროგრამის მიზნებისათვის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური პირი (მხოლოდ უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ნაწილში) და იურიდიული პირი, გარდა სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისა, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება და არ არიან რეგისტრირებულნი მოვალეთა რეესტრში. ასევე ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად რეგისტრირებული პირი - უცხოური საწარმო, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

2. სახელმწიფო პროგრამის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები:

„მ) სასტუმრო – შენობა ან/და შენობა-ნაგებობათა ერთობლიობა თავისი ინფრასტრუქტურით, რომელიც სამშენებლო დოკუმენტის პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროდ. ასევე შენობის ერთი ან რამდენიმე ნაწილი ერთად ან ცალ-ცალკე, რომელშიც სამშენებლო დოკუმენტის პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროს ნომრების განთავსება თავისი ინფრასტრუქტურით;

ნ) საერთაშორისო ბრენდი – სასტუმროს მესაკუთრე უცხოური საწარმოს (უცხოური სასტუმროს) ან/და უცხოური საწარმოს (უცხოური სასტუმროს) მიერ ფრენშიაზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ან/და სასტუმროს მმართველი უცხოური საწარმოს (უცხოური სასტუმროს) სასაქონლო ნიშანი;

ო) სასტუმრო ინდუსტრია – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ ფართზე, ქ. თბილისის და ქ. ბათუმის (საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-ის დადგენილების ამოქმედებამდე არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში) ტერიტორიების გარდა, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე.“.

3. სახელმწიფო პროგრამის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 4. პროგრამის მიმართულებები

პროგრამის მიმართულებებია:

ა) ინდუსტრიები – №1 დანართის შესაბამისად;

ბ) კინოინდუსტრია – №2 დანართის შესაბამისად განსაზღვრული კვალიფიციური ხარჯების ფარგლებში;

გ) სასტუმრო ინდუსტრია – №3 დანართით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.



## მუხლი 5. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი მოიცავს კრედიტის, ლიზინგის და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულებებს. ამასთან, სასტუმრო ინდუსტრიაში კრედიტის მიმართულების გამოყენება დამზღვეულია, მხოლოდ სასტუმროს მესაკუთრე მეწარმე სუბიექტის მიერ. კრედიტის და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულებებით სარგებლობა შესაძლებელია ერთდროულად.

2. კრედიტის მიმართულება მოიცავს:

ა) სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით;

ბ) სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე კომერციული ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას, სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით.

3. კრედიტის მიმართულების ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარი უზრუნველყოფს:

ა) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში წარმოების დაწყებას, კომერციული ბანკის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 2 წლისა, ხოლო არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში – პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა;

ბ) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასტუმრო ინდუსტრიაში, საერთაშორისო ბრენდის გამოყენების შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებას კომერციული ბანკის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 3 წლისა, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე, საქმიანობის დაწყებას ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში, კომერციული ბანკის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 2 წლისა;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წარმოების დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცებული პროექტის შემთხვევაში, კომერციული ბანკის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში, წარმოების პროფილის შენარჩუნებას;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებიდან ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების/გადაიარაღების დასრულების შემდგომ, 2 წლის განმავლობაში, საქმიანობის პროფილის შენარჩუნებას.

4. ლიზინგის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში, ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით.

5. ლიზინგის მიმართულების ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარი უზრუნველყოფს:

ა) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში წარმოების დაწყებას, ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა, ხოლო არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში - ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წარმოების დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცებული პროექტის შემთხვევაში, ლიზინგის საგნის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში, წარმოების პროფილის შენარჩუნებას.

6. საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარისთვის საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის გადახდილი (ასეთის არსებობის



შემთხვევაში) შესაბამისი წლიური გადასახადის ანაზღაურებას, საქმიანობის დაწყებიდან 24 თვის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშო წელზე, წელიწადში არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით. თუ ამ პუნქტით განსაზღვრული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა აღემატება წელიწადში 300 000 (სამასი ათასი) ლარს, ამ პროგრამის საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულება გავრცელდება, მხოლოდ ამ პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, პროგრამის ბენეფიციარის მიერ საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურების შესახებ, რომლის ოდენობასაც ადგენს საქართველოს მთავრობა.

7. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია, ფინანსურ კომპონენტთან დაკავშირებით დაადგინოს დამატებითი პირობები კომერციული ბანკებისათვის/ლიზინგის გამცემისათვის ან/და პროგრამის ბენეფიციარებისათვის, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

## **მუხლი 6. კომერციულ ბანკებთან ურთიერთობა**

1. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, მიმართავს კომერციულ ბანკს.

2. კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინდუსტრიაში საქმიანობისთვის და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით კრედიტის დამტკიცების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს:

ა) კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის აშშ დოლარში გაცემულ კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 8 (რვა) პროცენტის ოდენობით/ლარში გაცემულ კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10 (ათი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 29 (ოცდაცხრა) თვის განმავლობაში;

ბ) კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის აშშ დოლარში გაცემულ კრედიტზე კომერციული ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის ძირითადი თანხის 50 (ორმოცდაათი) პროცენტის, მაგრამ არაუმეტეს 1,000,000.0 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით/ლარში გაცემულ კრედიტზე კომერციული ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის ძირითადი თანხის 50 (ორმოცდაათი) პროცენტის, მაგრამ არაუმეტეს 2,500,000.0 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.

3. ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასტუმრო ინდუსტრიაში საქმიანობისათვის ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების/გადაიარაღებისათვის, კომერციული ბანკის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით კრედიტის დამტკიცების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს:

ა) კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10 (ათი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 29 (ოცდაცხრა) თვის განმავლობაში;

ბ) კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე კომერციული ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის ძირითადი თანხის 50 (ორმოცდაათი) პროცენტის, მაგრამ კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში, არაუმეტეს 2,500,000.0 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე, არაუმეტეს 500,000.0 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.

4. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ



ინდუსტრიაში საქმიანობისთვის, პროგრამის ბენეფიციარისთვის პირველად გაცემული კრედიტის მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 150,000.0 (ას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს/250,000.0 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა - 2,000,000.0 (ორი მილიონი) აშშ დოლარს/5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს.

5. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასტუმრო ინდუსტრიაში საქმიანობისათვის ან/და არსებული სასტუმროს გაფართოება/გადაიარაღებისათვის გაცემული კრედიტის მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 500,000.0 (ხუთასი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში - 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე - 1,000,000.0 (ერთი მილიონი) ლარს.

6. კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ კრედიტის მთლიანი მოცულობა აღემატება პროგრამის მიმართულების შესაბამისად, ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას, ამ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი გავრცელდება, მხოლოდ ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების შესახებ, რომლის ოდენობასაც ადგენს საქართველოს მთავრობა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, სამინისტროს მეშვეობით საკითხს წარუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად.

8. ამ პროგრამის ფარგლებში, ამ მუხლის მე-4 ან/და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული კრედიტი კომერციული ბანკის მიერ გაიცემა შემდეგი მიზნობრივობით:

ა) წარმოებისათვის/საქმიანობისათვის საჭირო კაპიტალური დანახარჯების გასაწევად - კრედიტის მოცულობის არანაკლებ 80 (ოთხმოცი) პროცენტისა;

ბ) საბრუნავი საშუალებების შესაძენად - კრედიტის მოცულობის არაუმეტეს 20 (ოცი) პროცენტისა.

9. კომერციული ბანკის მიერ, პროექტის ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემული კრედიტის სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) 500,000.0 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარამდე - არაუმეტეს 11 (თერთმეტი) პროცენტისა;

ბ) 500,000.0 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარიდან 1,000,000.0 (ერთი მილიონი) აშშ დოლარამდე - არაუმეტეს 10 (ათი) პროცენტისა;

გ) 1,000,000.0 (ერთი მილიონი) აშშ დოლარიდან 2,000,000.0 (ორი მილიონი) აშშ დოლარამდე - არაუმეტეს 9 (ცხრა) პროცენტისა;

დ) 1,500,000.0 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარამდე - არაუმეტეს 13 (ცამეტი) პროცენტისა;

ე) 1,500,000.0 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარიდან 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარამდე - არაუმეტეს 12 (თორმეტი) პროცენტისა;

ვ) 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარიდან 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარამდე - არაუმეტეს 11 (თერთმეტი) პროცენტისა.

10. კომერციული ბანკის მიერ, ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასტუმრო ინდუსტრიაში საქმიანობისათვის ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების /გადაიარაღებისათვის კრედიტი გაიცემა მხოლოდ ლარში.

11. სააგენტო კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის პროგრამის ბენეფიციარისთვის გადარიცხვით, სესხის მომსახურების გრაფიკის შესაბამისად.



12. ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში პროგრამის ბენეფიციარს კომერციული ბანკის მიმართ არ წარმოემოხა წინსწრებით დაფარვის საკომისიო/ჯარიმა;

ბ) კომერციული ბანკის მიერ, ამ პროგრამის ფარგლებში, კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა იზრდებოდეს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის და უზრუნველყოფაში თანამონაწილეობისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა;

გ) სხვა კომერციული ბანკის მიერ კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში იმოქმედებს არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებული საკომისიო განაკვეთი;

დ) გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, კომერციული ბანკი უფლებამოსილია, მხოლოდ გადასახდელ ძირითად თანხაზე დაარიცხოს პროგრამის ბენეფიციარს ჯარიმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ვადაგადაცილებული თანხის 0.1 (ნული მთელი და ერთი მეათედი) პროცენტს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ე) კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პროექტზე სააგენტომ განახორციელოს გაცემულ კრედიტზე ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა პროგრამის ბენეფიციარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს კრედიტის გაცემიდან 48 თვისა;

ვ) კომერციული ბანკის მიერ, ამ პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარზე გაცემული კრედიტის უზრუნველყოფის თანამონაწილეობისთვის გათვალისწინებული თანხის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი ანაზღაურება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან;

ზ) კომერციული ბანკის მიერ უზრუნველყოფის გამოყენების შემთხვევაში, პირველ რიგში გამოიყენება პროგრამის ბენეფიციარის, ხოლო შემდგომ - სააგენტოს მიერ გაცემული უზრუნველყოფა;

თ) კრედიტის გაცემისას დარღვევების დაფიქსირების, მათ შორის, კრედიტის გაცემისას ამ პროგრამით ან/და ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომერციულ ბანკს ეკისრება ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმა;

ი) კომერციული ბანკის მიერ, ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრედიტის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში, დასაშვებია ისეთი პარალელური კრედიტის გაცემა, რომლის დროსაც არ უნდა გაიზარდოს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისა და უზრუნველყოფაში თანამონაწილეობისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა.“.

4. სახელმწიფო პროგრამის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდუსტრიის დარგში საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა;“.

5. სახელმწიფო პროგრამის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ამ პროგრამით დადგენილი წესით, შესაბამისი განაცხადების წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2016 წლის 15 დეკემბრისა.“.

6. სახელმწიფო პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის თავი I<sup>2</sup>:

## „თავი I<sup>2</sup>“

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილი



## მუხლი 12<sup>9</sup>. ტერმინთა განმარტება

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინონდუსტრიის ნაწილის მიზნებისთვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პროგრამა – სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ კინონდუსტრიის ნაწილი;

ბ) სააგენტო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მეწარმეობის განვითარების სააგენტო;

გ) კინოცენტრი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი;

დ) მეწარმე სუბიექტი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი (გარდა სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისა), რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცდილებული საგადასახადო დავალიანება და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

ე) განაცხადი – მეწარმე სუბიექტის მიერ სააგენტოსთვის ელექტრონული ფორმით მიმართვა, პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით;

ვ) პროგრამის ბენეფიციარი – მეწარმე სუბიექტი, რომელსაც ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, სააგენტოს მიერ დადგენილი პროცედურებით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიენიჭა პროგრამის ბენეფიციარის სტატუსი;

ზ) სერტიფიკატი – სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) პროექტი – მეწარმე სუბიექტის მიერ, პროგრამის ფარგლებში, სააგენტოსთვის წარდგენილ განაცხადში მითითებული ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოიცავს შემდეგს:

თ.ა) ზოგადი ინფორმაცია (მეწარმე სუბიექტის დასახელება, იურიდიული პირის სტატუსი, საიდენტიფიკაციო ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია) მეწარმე სუბიექტისა და ამ პროგრამის მიმართულების შესახებ;

თ.ბ) პროგრამის მიმართულების შინაარსობრივი მიმოხილვა;

თ.გ) წარმოებისა და გადაღებების გეგმა, საქართველოში პროექტის ფარგლებში დასაქმებული რეზიდენტ(ებ)ის რაოდენობა, სავარაუდო ჯამური ბიუჯეტი, გასაწევი მთლიანი კვალიფიციური ხარჯის ოდენობა და კატეგორიზაცია;

თ.დ) ზოგადი ინფორმაცია საბოლოო პროდუქტის შესახებ:

თ.დ.ა) საქართველოში მიმდინარე წარმოების პროცესში ჩართული მსახიობები, პროდიუსერები და გადამღები ჯგუფის სხვა წევრები, საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებაში ჩართული ქვეყნები და ა.შ.;

თ.დ.ბ) უცხოური ინვესტიციის შემთხვევაში, ინფორმაცია უცხოელი პარტნიორის/პარტნიორების შესახებ (ურთიერთთანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ.ე) პროექტის კვალიფიციური ხარჯი - პროგრამის ბენეფიციარის მიერ, პროგრამის ფარგლებში, საქართველოში გასაწევი მომსახურების ხარჯი, თუ ის გაწეული იქნება საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე №2 დანართში აღწერილი არარეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე;

თ.ვ) გადასაღები დღეების სავარაუდო რაოდენობა;

თ.ზ) ამ პროგრამის 12<sup>11</sup> მუხლის „გ“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, დოკუმენტის საბოლოო პროდუქტის საქართველოს ფარგლებს გარეთ არანაკლებ 3 (სამი) ქვეყანაში, ხოლო 12<sup>11</sup> მუხლის „ზ“



ქვეპუნქტის შემთხვევაში, დოკუმენტის საბოლოო პროდუქტის საქართველოს ფარგლებს გარეთ 1 (ერთი) ქვეყანაში დისტრიბუციის შესახებ დოკუმენტაცია (სადისტრიბუციო მოთხოვნა);

ი) სადისტრიბუციო მოთხოვნა – მეწარმე სუბიექტის მიერ, ამ პროგრამის ფარგლებში, დადგენილი წესით წარსადგენი დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც მოიცავს საბოლოო პროდუქტის საქართველოს ფარგლებს გარეთ დისტრიბუციის შესახებ დამადასტურებელ ინფორმაციას ან/და საბოლოო პროდუქტის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელების არეალის შესახებ მონაცემებს;

კ) საბოლოო პროექტი – ამ პროგრამის მიმართულებების შესაბამისად, საქართველოში განხორციელებული პროექტი;

ლ) საბოლოო პროდუქტი – ამ პროგრამის მიმართულებების შესაბამისად ნაწარმოები აუდიოვიზუალური პროდუქცია, რომლის წარმოება ნაწილობრივ ან მთლიანად განხორციელდა საქართველოში;

მ) კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ განსახორციელებელი/განხორციელებული კონკრეტული ხარჯი №2 დანართის შესაბამისად, რომელიც არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირებიდან მიღებული დაფინანსებიდან გაწეულ ხარჯებს;

ნ) მთლიანი კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი კონკრეტული კვალიფიციური ხარჯების (№2 დანართის შესაბამისად) ჯამი, რომელიც არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირებიდან მიღებული დაფინანსებიდან გაწეულ ხარჯებს;

ო) პოპულარიზაციის ელემენტი – საბოლოო პროდუქტის თემატიკის შემხებლობა საქართველოსთან ან საბოლოო პროდუქტში საქართველოს პეიზაჟების გამოყენება და საქართველოს დაფიქსირება, როგორც მოქმედების გეოგრაფიული ადგილი; საბოლოო პროდუქტის გადაღებისას, გარკვეულ წამყვან პოზიციებზე, საქართველოს სხვადასხვა ხედების ამსახველი კადრების შერჩევა; საბოლოო პროდუქტში ქართული/ეროვნული ელემენტების გამოყენება; საბოლოო პროდუქტის შემდგომი დამუშავება (Post-Production) საქართველოში; საბოლოო პროდუქტის დისტრიბუცია არანაკლებ ორ ქვეყანაში; ინფორმაციის გავრცელება საქართველოში გადაღების გამოცდილებაზე; საბოლოო პროდუქტმა ერთხელ მაინც მიიღო მონაწილეობა და/ან გაიმარჯვა კინოცენტრის მიერ აღიარებულ ფესტივალზე/მთავარ კონკურსში;

პ) კომისია – სააგენტოს, კინოცენტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ამ პროგრამით განსაზღვრული პოპულარიზაციის ელემენტის ანაზღაურების შესახებ. კომისიის შემადგენლობას და საქმიანობის წესს ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარეს;

ჟ) ტექნიკური დახმარება – ბენეფიციარის საჭიროებ(ებ)იდან გამომდინარე, მისი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან კოორდინაციის კუთხით ხელშეწყობა.

## მუხლი 12<sup>10</sup>. პროგრამის მიზანი და აღწერა

კინოინდუსტრიის განვითარების მიზნით, პროგრამის ფარგლებში, მოხდება ადგილობრივი კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, უცხოური კინოწარმოების მოზიდვა, ადგილობრივი კინოინდუსტრიის ბაზრის ზრდა, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა.

## მუხლი 12<sup>11</sup>. პროგრამის მიმართულებები

პროგრამის მიმართულებებია შემდეგი აუდიოვიზუალური პროდუქციის წარმოება:



- ა) მხატვრული ფილმი;
- ბ) სატელევიზიო ფილმი;
- გ) ტელესერიალი ან მინი-სერიალი;
- დ) ანიმაცია;
- ე) დოკუმენტური ფილმი;
- ვ) სარეკლამო ვიდეო პროდუქცია;
- ზ) რეალითი შოუ;
- თ) მუსიკალური კლიპი.

## **მუხლი 12<sup>12</sup>. პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლებამოსილება**

1. პროგრამის კოორდინაციას და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).
2. პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების მიზნით, სააგენტო ან/და კინოცენტრი უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარს გაუწიოს ტექნიკური დახმარება.
3. სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:
  - ა) პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, ინფორმაციის გავრცელებას;
  - ბ) მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვას და ამ პროგრამით დადგენილი წესით რეგისტრაციას;
  - გ) პროგრამის ბენეფიციარისთვის ამ პროგრამით და ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, მთლიანი კვალიფიციური ხარჯის ანაზღაურებას 20 (ოცი) პროცენტის ოდენობით;
  - დ) პოპულარიზაციის ელემენტის შემთხვევაში, დამატებით მთლიანი კვალიფიციური ხარჯის 2%-დან 5%-მდე ანაზღაურებას, პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად;
  - ე) განაცხადის ფორმის დადგენას და რეგისტრაციის პროცედურებს;
  - ვ) პროგრამის ბენეფიციართა რეესტრის წარმოებას;
  - ზ) სადისტრიბუციო მოთხოვნის და სადისტრიბუციო მოთხოვნის წარდგენის ფორმის დადგენას.
4. კინოცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:
  - ა) პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, ინფორმაციის გავრცელებას;
  - ბ) ამ პროგრამის მიზნებისთვის, პროექტის პროგრამის მიმართულებებთან შესაბამისობის დადგენას;
  - გ) პროექტის შესაბამისობის დადგენას 12<sup>13</sup> მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან;
  - დ) განაცხადის განხილვას და სააგენტოსთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას;
  - ე) პოპულარიზაციის ელემენტის შეფასების კრიტერიუმების (კულტურული ტესტი) შემუშავებას და





5. მეწარმე სუბიექტის მიერ განაცხადში წარდგენილ ინფორმაციაზე წვდომის უფლება, სააგენტოსა და კინოცენტრთან ერთად, აქვთ მათზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ სამინისტროებს.

### მუხლი 12<sup>13</sup>. პროგრამაში მონაწილეობა

1. პროგრამაში ჩართვის მიზნით, მეწარმე სუბიექტი, სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით, სააგენტოში წარადგენს ინფორმაციას პროექტის ღირებულების არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) პროცენტის დაფინანსების მოპოვების შესახებ და განაცხადს პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე.

2. მეწარმე სუბიექტი, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს წარუდგენს დამატებით დოკუმენტ(ებ)ს სააგენტოს მიერ შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამ პუნქტით დადგენილ ვადაში მეწარმე სუბიექტი არ წარუდგენს სააგენტოს დამატებით დოკუმენტ(ებ)ს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

3. პროგრამის ფარგლებში, მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მინიმალური მოცულობა ამ პროგრამის 12<sup>11</sup> მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მიმართულებების შემთხვევაში, შეადგენს არანაკლებ 500,000 (ხუთასი ათასი) ლარს/ამ პროგრამის 12<sup>11</sup> მუხლის „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მიმართულებების შემთხვევაში, შეადგენს არანაკლებ 300, 000 (სამასი ათასი) ლარს.

4. პროგრამის ფარგლებში, მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს – 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალურ ოდენობას ადგენს საქართველოს მთავრობა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალურ ოდენობას ადგენს საქართველოს მთავრობა, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, სამინისტროს მეშვეობით, საკითხს წარუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად.

6. მეწარმე სუბიექტის მიერ სააგენტოში წარდგენილ განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტს ენიჭება პროგრამის ბენეფიციარის სტატუსი და სააგენტო უფორმებს ხელშეკრულებას და გადასცემს შესაბამის სერტიფიკატს.

7. მეწარმე სუბიექტის მიერ ამ პროგრამის მიმართულების შესაბამისად წარდგენილი პროექტის ან/და საბოლოო პროდუქტის შინაარსის ცვლილებ(ებ)ის შეტანა დასაშვებია, თუ მეწარმე სუბიექტის მიერ ამ პროგრამის მიმართულების შესაბამისად წარდგენილი პროექტი ან/და საბოლოო პროდუქტი (მათ შორის, პროექტში ან/და საბოლოო პროდუქტში განხორციელებული ცვლილებებიც) არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით, ამ სახელმწიფო პროგრამით და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

8. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მთლიან კვალიფიციურ ხარჯზე, ამ პროგრამით გათვალისწინებული ანაზღაურება სააგენტოს მიერ მოხდება საბოლოო პროექტის განხორციელების, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული სავარაუდო კვალიფიციური ხარჯის და პროექტის განხორციელების შემდეგ დაზუსტებული კვალიფიციური ხარჯის შედარების, „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული, შესაბამისი აუდიტის/საექსპერტო დასკვნის სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით სააგენტოში წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

9. სააგენტო, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განახორციელებს მთლიანი კვალიფიციური ხარჯის 20 (ოცი) პროცენტის ანაზღაურებას.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების დამადასტურებელი დამოუკიდებელი აუდიტორის/საექსპერტო დასკვნა პროგრამის ბენეფიციარმა უნდა წარადგინოს მე-6 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) თვისა.



11. პროგრამის ბენეფიციარის მიერ განხორციელებული კონკრეტული კვალიფიციური ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი კვალიფიციური ხარჯის №2 დანართით დადგენილ წილს.

12. სააგენტო, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, დამატებით განხორციელებს მთლიანი კვალიფიციური ხარჯის 25-დან - 5-მდე პროცენტის ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საბოლოო პროდუქტი შეიცავს პოპულარიზაციის ელემენტ(ებ)ს. დამატებითი ანაზღაურება განხორციელდება, მხოლოდ 12<sup>11</sup> მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამის მიმართულების შესაბამისად, საბოლოო პროდუქციისთვის.

13. პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია, მხოლოდ სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად გათვალისწინებული მთლიანი კვალიფიციური ხარჯის ანაზღაურებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში. ამასთან, სააგენტოს მიერ დამატებით ანაზღაურება განხორციელდება პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნის სააგენტოში წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

#### **მუხლი 12<sup>14</sup>. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები**

ამ პროგრამის 12<sup>13</sup> მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება წყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) პროგრამით დადგენილი პირობებით, სააგენტოს და პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამავე პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

ბ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამ პროგრამით დადგენილი წესით ხელშეკრულების დარღვევა ან/და არაჯეროვნად შესრულება, ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად;

გ) ამ პროგრამით დადგენილი წესით ხელშეკრულების ვადის დასრულება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ პროგრამით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

#### **მუხლი 12<sup>15</sup>. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება**

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

#### **მუხლი 12<sup>16</sup>. სხვა დებულებები**

ამ პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მიღების მიზნით, ამ პროგრამით დადგენილი წესით, შესაბამისი განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2017 წლის 15 დეკემბრისა.“.

7. სახელმწიფო პროგრამის დანართის „ინდუსტრიების“ 5.4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.4 სასუქები

სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი (3102)



სასუქები მინერალური ან ქიმიური, ფოსფოროვანი (3103)

სასუქები მინერალური ან ქიმიური, კალიუმისანი (3104)

სასუქები მინერალური ან ქიმიური, 2 ან 3 მკვებავი ელემენტის; აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით; დანარჩენი სასუქები; ამ ჯგუფის საქონელი აბეზად ან ანალოგიურ ფორმებში ან საფუთავებში ბრუტო-მასით არაუმეტეს 10 კგ-ისა (3105).“.

## მუხლი 2

დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის დანართი განისაზღვროს №1 დანართად, ხოლო სახელმწიფო პროგრამას დაემატოს დანართი №2 და დანართი №3 თანდართული რედაქციით.

## მუხლი 3

აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს დაევალოთ, ხოლო მუნიციპალიტეტებს ეთხოვოთ სააგენტოს ან/და სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიმართვის საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის შესრულების ხელშეწყობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 4

- დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- დადგენილების პირველი მუხლის მე-7 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის პირველი ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი

„დანართი №2

## კვალიფიციური ხარჯები

კვალიფიციური ხარჯის დასახელება	თანადაფინანსების ზღვარი მთლიანი კვალიფიციური ხარჯების ბიუჯეტთან %
აუდიოვიზუალური აპარატურის ქირა საქართველოში	
გარდერობის/ კოსტუმების დაქირავება	15%
თმის და გრიმის სტუდიების მომსახურება	
რეკვიზიტის დაქირავება	
გენერატორების დაქირავება	
გრიმის აღჭურვილობის დაქირავება (თავისი აქსესუარებით)	15%
განათების აღჭურვილობის დაქირავება (თავისი აქსესუარებით)	15%
პავილიონების, სტუდიების, სარეპეტიციო დარბაზების, საამქროების (ბუტაფორული, სადურგლო), სახელოსნოების, სპორტული სასაწყობე ფართების, სცენის, დარბაზების დაქირავება	



საოფისე ფართის დაქირავების, ოფისის ავეჯისა და მოწყობილობების დაქირავება	
საჰაერო და წყლის ტრანსპორტის დაქირავება საქართველოში	15%
ცხოველების დაქირავება, წვრთნა, კვება, ტრანსპორტირება	
წყლის ავზებისა და მობილური ტუალეტების დაქირავება	
სახელმწიფო და კერძო დაქვემდებარებაში მყოფი სპეცპერსონალისა და სპეცტექნიკის დაქირავება	
სახმელეთო ტრანსპორტის, მანქანების და კინოწარმოების ყველა სპეცტრანსპორტის დაქირავება	
უსაფრთხოებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებები	
კვება და კატერინგის მომსახურება - საქართველოს ტერიტორიაზე, თუ ეს პირდაპირ კავშირშია საბოლოო პროექტთან	10%
პროფესიონალური მომსახურება, გაწეული საქართველოში - სადაზღვევო, საბანკო, აუდიტორული და იურიდიული მომსახურება. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთდამოკიდებული პირის მიერ გაწეული მომსახურებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, საბაზრო ფასის დადგენის მიზნით, ექსპერტის მიერ გაწეული მომსახურება	
სპეცფექტების მომსახურება - სპეციალისტები და მოწყობილობა	5%
სპეცმომსახურება - დაივინგი, პარაშუტიდან ხტომა, დელტოპლანის და ინსტრუქტორის დაქირავება, სამთო მომსახურების და კინოწარმოებასთან დაკავშირებული ყველა სპეცმომსახურება	
სამრეცხაოს და ქიმწმენდის მომსახურება	
გადასაღები ადგილების იჯარა და გადაღების უფლების ღირებულება - აუდიოვიზუალურ წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული გადასაღები ადგილების მფლობელებისთვის (რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირებისთვის) გადასახდელი თანხები საქართველოს ტერიტორიაზე	
დეკორაციების აშენების ან/და მოწყობის მომსახურება	
საქართველოს ტერიტორიაზე პროგრამის ბენეფიციარის ადმინისტრაციული პერსონალის სამივლინებო ხარჯები - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	1%
საქართველოში ცხოვრების ხარჯები - სასტუმროს ხარჯები გადამღები ჯგუფისთვის	15%
პერსონალის ხარჯები, რომელშიც შედის - სრულ/ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალის ხელფასები, კონტრაქტით მიწვეული მუშახელის ანაზღაურება, რომლებიც უნდა იყვნენ საქართველოს რეზიდენტები, იხდიდნენ გადასახადს საქართველოს ბიუჯეტში, დაქირავებულები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს ტერიტორიაზე	10%
პროგრამის ბენეფიციარის მიერ არარეზიდენტი ფიზიკური პირისთვის (რეკისორი, მთავარი როლის შემსრულებელი, მთავარი ოპერატორი, პროდუქციის დიზაინერი/მთავარი მხატვარი, კოსტიუმების მხატვარი, მთავარი მემონტაჟე) გასაცემი შრომის ანაზღაურება	15%
მგზავრობის ხარჯები (მხოლოდ საქართველოში)	5%
საწვავის ხარჯები (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18	5%



სპრილის №230 ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით)	
კომუნალური გადასახადი	1.5%
ტელეკომუნიკაციის ხარჯები - ტელეფონის, მობილური ტელეფონის, ინტერნეტისა და ფაქსის გადასახადები საქართველოში; რაციების დაქირავება	2%
გამოსახულების მონტაჟი	
ანიმაცია	
ვიზუალური ეფექტების (VFX) მომსახურება	
ფერის კორექცია	
მუსიკის ჩაწერა	
ხმაურების ჩამწერი სტუდიის დაქირავება	
გამოსახულების რენდერი	5%
ხმის ჩამწერი სტუდიების დაქირავება (ფილმისთვის ხმის ჩაწერა)	5%
თარგმანი	
სუბტიტრირება	
საქართველოში გაწეული ლაბორატორიული ხარჯები	
დისტრიბუციისა და გაყიდვების კომპანიისათვის მისაწოდებელ ფილმთან დაკავშირებული პაკეტების შექმნა (deliverables).	

დანართი №3

ა) სასტუმრო:

NACE (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი):

<b>55.1</b>	<p><b>სასტუმროები</b></p> <p>ეს ჯგუფი შეიცავს:</p> <p>საცხოვრებელი ადგილების გაცემას მოკლე ვადით:</p> <p>სასტუმროებში, ოტელეებში, მოტელეებსა და ქალაქგარე სასტუმროებში,</p> <p>სასტუმროებში, კონფერენციების ჩატარების პირობებით</p> <p>ეს ჯგუფი აგრეთვე შეიცავს:</p>
-------------	--



რესტორნების მომსახურებას მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილების გაცემასთან ერთად

საწოლი ვაგონების მომსახურებას ცალკეული ფირმების მიერ.

NACE 55.1 კრიტერიუმით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურული ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

<b>სასტუმროს თითოეული ნომრის ოთახ(ებ)ის ფართობი</b> - არანაკლებ 18 კვ.მ, მათ შორის - სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 4 კვ.მ;
<b>ლიფტი</b> - იმ შემთხვევაში, თუ შენობა 2-ზე მეტ სართულიანია;
<b>სანიტარიული კეთილმოწყობა:</b>  საშხაპე/საპირფარეშო ან სააბაზანო/საპირფარეშო;  პირსაბანი;
<b>ელექტრომომარაგება:</b>  გარე განათება;  შენობის შიდა ფართობის განათება;  სასტუმრო ოთახ(ებ)ის და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება;
<b>ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიცირება:</b>  ხმაურდამცავი მინაპაკეტის ფანჯარა;  ოთახების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა) აღჭურვილი ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;  დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა);
<b>პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის:</b>  სასტუმროსთან ეტლით მისასვლელი პანდუსი;  შენობის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;  ლიფტით, ეტლით გადაადგილება;  შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასტუმროში განთავსების საშუალება;
<b>სტუმართა რეგისტრაცია (რეცეფცია):</b>  განცალკევებული, დამოუკიდებელი რეგისტრაციის ადგილი;  მინიმუმ სამადგილიანი მოსასვენებელი რეცეფციასთან;  სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში;
<b>კვების ობიექტი</b> - სასადილო ან რესტორანი;

ბ) სასტუმროს დამატებითი სერვისები



მეწარმე სუბიექტი ამ დანართის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებასთან ერთად, ამავე ინდუსტრიის ფარგლებში, უფლებამოსილია დამატებით, იმავე ინფრასტრუქტურისა და იურიდიული პირის ბაზაზე, განახორციელოს შემდეგი ტიპის სერვისები:

NACE (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი):

<p><b>55.30</b></p>	<p><b>რესტორნების მომსახურება</b></p> <p>ეს კლასი შეიცავს:</p> <p>მზა საკვებით ვაჭრობას, სასმელების ჩათვლით, ძირითადად, ადგილზე მოსახმარებლად, ზოგჯერ გასართობი პროგრამების თანხლებით:</p> <p>რესტორნებში, რესტორნებსა და თვითმომსახურების კაფეტერიებში</p> <p>„სწრაფი კვების“ საწარმოებში, როგორცაა: საბუტერბოდეები, საღვებულებები,</p> <p>რესტორნებში საკვების გარეთ გატანით, თევზით, შემწვარ კარტოფილთან ერთად, მოვაჭრე ჯიხურებში და მისთ.</p> <p>კაფე-სანაყინეებში, რკინიგზის ვაგონ-რესტორნებსა და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მგზავრების მომსახურე კვების საწარმოებში.</p> <p>ეს კლასი არ შეიცავს:</p> <p>ვაჭრობას ავტომატების საშუალებით, იხ. 52.63.2,</p> <p>რესტორნების საქმიანობას მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილების გაცემასთან ერთად, იხ. 55.11.0, 55.21.0, 55.22.0, 55.23.0</p>
<p><b>55.40</b></p>	<p><b>54.40.0 ბარები</b></p> <p>ეს ქვეკლასი შეიცავს:</p> <p>სასმელებით ვაჭრობას, ძირითადად, ადგილზე მოხმარებისათვის, ზოგჯერ გასართობი პროგრამების თანხლებით:</p> <p>ბარებში, ღამის კლუბებში, ტრაქტირებში, ლუდის ბარებსა და მისთ.</p> <p>ბარების საქმიანობას ხომალდების (გემების) ბორტზე.</p> <p>ეს ქვეკლასი არ შეიცავს:</p> <p>ვაჭრობას ავტომატების მეშვეობით, იხ. 52.63.2,</p> <p>სასმელებით ვაჭრობას არა უშუალოდ ადგილზე მოხმარებისათვის, იხ. 52,</p> <p>ბარების საქმიანობას მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილების გაცემასთან ერთად, იხ. 55.11.0, 55.21.0, 55.22.0, 55.23</p>
<p><b>55.51.0</b></p>	<p><b>55.51.0 სასადილოები</b></p> <p>ეს ქვეკლასი შეიცავს:</p> <p>მზა საკვებითა და სასმელებით ვაჭრობას, ძირითადად, ფასდაკლებით, პირებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფებს:</p>



55.51

სპორტული კლუბების, საწარმოებისა და დაწესებულებების სასადილოების საქმიანობა,  
 სასკოლო სასადილოებისა და სამზარეულოების საქმიანობა,  
 ინსტიტუტების სასადილოების საქმიანობა,  
 ბუფეტებისა და სასადილოების საქმიანობა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის და მისთ.  
 ყველასათვის მისაწვდომი სასადილოების საქმიანობას (რომლებიც არ არიან დაკავშირებული მოსახლეობის განსაზღვრული კონტინენტის მომსახურებასთან).  
 ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:  
 სასადილოების საქმიანობას მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისათვის

55.52

**55.52.0 მზა საკვების მიწოდება**  
 ეს ქვეკლასი შეიცავს:  
 სპეციალიზებულ პუნქტებში მომზადებული მზა საკვების მიწოდებლების საქმიანობას სხვა ადგილებზე მოხმარებისათვის, მაგალითად, მზა საკვებით მომარაგება:  
 კერძო სახლების,  
 აეროხაზების,  
 მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების,  
 ბანკეტებისა და დარბაზების,  
 ქორწილების, სტუმართა მიღებებისა და სხვა დღესასწაულების  
 გარე ბუფეტების საქმიანობას

70.20.2

**საკუთარი არასაცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავება**  
 ეს ქვეკლასი შეიცავს:  
 კერძო მესაკუთრის ან მოიჯარის მიერ არასაცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავებასა და ექსპლუატაციას, როგორცაა: საგამოფენო დარბაზები, მრავალმიზნობრივი დანიშნულების შენობები, ქარხნები, ოფისები, თეატრები, საწყობები, სარიტუალო დარბაზები და მისთ.

92.13

**92.13.0 კინოფილმების დემონსტრირება:**  
 ეს ქვეკლასი შეიცავს:  
 კინო და ვიდეოფილმების დემონსტრირებას კინოთეატრებში, ღია მოედნებზე და ფილმების დემონსტრირებისათვის განკუთვნილ სხვა ადგილებში.  
 ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:  
 კინომოყვარულთა კლუბების საქმიანობას კინოფილმების დემონსტრირებით.  
 ეს ქვეკლასი არ შეიცავს:  
 კინომოყვარულთა კლუბების საქმიანობას, რომელიც არ არის დაკავშირებული ფილმების დემონსტრირებასთან, იხ. 91.33.0

92.31.1

**თეატრალური და შემოქმედებითი საქმიანობა**  
 ეს ქვეკლასი შეიცავს:  
 თეატრალური წარმოდგენების, კონცერტების, საოპერო სპექტაკლების, საცეკვაო და სხვა სასცენო გამოსვლების დადგმას,  
 ანსამბლებისა და თეატრალური დასების, ორკესტრებისა და მუსიკოსთა ჯგუფების საქმიანობას,





შემოქმედებითი პროფესიის დამოუკიდებელ წარმომადგენელთა საქმიანობას, როგორცაა: მსახიობები, რეჟისორები, მუსიკოსები, ავტორები, კონფერანსიები, მოქანდაკეები, მხატვრები, კარიკატურისტები, გრაფიკორები, ოფორტისტები, თეატრალური მხატვრები, დეკორატორები და მისთ.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

თოჯინების, მარიონეტებისა და მისთ. თეატრების საქმიანობას, იხ. 92.34.2,

ყინულზე ბალეტის სპექტაკლებს, იხ. 92.34.2

**სარესტავრაციო საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

ხელოვნების, ფერწერის ნიმუშების რესტავრირებას

**92.31.2** ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

ავეჯის რესტავრირებას, იხ. 36.14.1,

შენობების რესტავრირებას, იხ. 45.45.0,

ისტორიული მუსიკალური ინსტრუმენტების რესტავრირებას, იხ. 36.30.2

**92.32.0 საკონცერტო და თეატრალური დარბაზების საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

საკონცერტო და თეატრალური დარბაზებისა და კულტურის სხვა დაწესებულებების ექსპლუატაციას,

**92.32** ბილეთების გაყიდვის სააგენტოების საქმიანობას,

ხმის ჩამწერი სტუდიების საქმიანობას.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

კინოთეატრების საქმიანობას, იხ. 92.13

**92.33.0 კულტურისა და დასვენების პარკების, ბაზრობებისა და ატრაქციონების საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

**92.33** ატრაქციონების, კულტურისა და დასვენების პარკების, ბაზრობებისა და მისთ. საქმიანობას,

გასართობი (საბავშვო) რკინიგზის საქმიანობას

**92.34.0 სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი სანახაობრივ-გასართობი საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

საცეკვაო სკოლებისა და ცეკვის მასწავლებლების საქმიანობას,

საცირკო წარმოდგენებს,

**92.34** თოჯინების თეატრების, გასართობი ტირების საქმიანობასა და მისთ.

ავტომოტოროდოს საქმიანობას.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

დასვენებისა და გართობის ორგანიზების დანარჩენ საქმიანობას, იხ. 92.72.0

**92.61.0 სპორტული ობიექტის საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

ღია ცის ქვეშ ან დახურულ შენობებში სპორტული ღონისძიებების ჩასატარებელი ობიექტების



92.61

საქმიანობას:

საფეხბურთო სტადიონების,

საცურო აუზების,

გოლფის მინდვრების,

კრივის დარბაზების,

ბოულინგის დარბაზების,

სტადიონებისა და მოედნების სპორტის ზამთრის სახეობებისათვის,

სტადიონების მძლეოსნობისათვის და მისთ.

ეს ობიექტები შეიძლება იყოს შემოღობილი, გადახურული, მაყურებელთათვის დასაჯდომი ადგილებით აღჭურვილი.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

სპორტული ინვენტარის გაქირავებას, იხ. 71.40.0,

პარკებისა და პლაჟების საქმიანობას, იხ. 92.72.0

**92.62.0 დანარჩენი საქმიანობა სპორტის სფეროში**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

სპორტული ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებას

ღია ცის ქვეშ ან დახურულ შენობებში პროფესიონალებისთვის ან მოყვარულთათვის. ღონისძიებები ტარდება საკუთარი სპორტული ობიექტების მქონე ან არმქონე ორგანიზაციების მიერ:

საფეხბურთო, კეგლის თამაშის მოყვარულთა, საცურო კლუბების, გოლფკლუბების, კრივის, საჭიდაო, გამაჯანსაღებელი, კულტურისტული კლუბების, სპორტის ზამთრის სახეობების მოყვარულთა კლუბების, საჭადრაკო და შაშის კლუბების, დომინოსა და კარტის თამაშის მოყვარულთა კლუბების, მძლეოსნებისა და მსროლელთა კლუბების მიერ

სპორტული ღონისძიებების მომზადებისა და ხელშეწყობის საქმიანობას,

დამოუკიდებელი სპორტსმენებისა და ათლეტების, მსაჯების, ქრონომეტრაჟისტების, ინსტრუქტორების, მასწავლებლების, მწვრთნელებისა და მისთ. საქმიანობას,

92.62 სპორტული სკოლებისა და სპორტული თამაშების სკოლების საქმიანობას,

დოდისა და მარულის ცხენების შემნახველი საჯინიბოების, დოდის ძაღლების სამაღლებებისა და სპორტული სარბოლი ავტომობილების გარაჟების საქმიანობას,

საცხენოსნო სკოლების საქმიანობას,

სასეირნო გემების ნავსადგომების საქმიანობას,

სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერას,

სპორტულ-სამოყვარულო ნადირობას,

ამ სფეროში მომსახურების გაწევას.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

სპორტული ინვენტარის გაქირავებას, იხ. 71.40.0,

პარკებისა და პლაჟების საქმიანობას, იხ. 92.72.0

**92.71.0 აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:



92.71

აზარტული თამაშების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საქმიანობას (ბრიჯი, პოკერი, პრეფერანსი, ბილიარდი, ლოტო და ა.შ.),

ლატარიის ბილეთების გაყიდვას,

აზარტული თამაშების ავტომატების ექსპლუატაციას,

კაზინოებისა და სამორინეების საქმიანობას

**92.72.0 სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დასვენებისა და გართობის ორგანიზების საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

დასვენებისა და გასართობი პარკებისა და პლაჟების საქმიანობას, ისეთი მოწყობილობების გაქირავების ჩათვლით, როგორცაა გასახდელეები პლაჟზე, ჩასაკეტი კარადები, სავარძლები და მისთ.

გართობისათვის სატრანსპორტო საშუალებების, მაგალითად, ველოსიპედების გაქირავებას, წყლის ველოსიპედების ჩათვლით, ცხენოსნობის ცენტრების საქმიანობას,

გასართობი სეირნობების ჩატარებას,

ელექტრული თამაშების ავტომატების ექსპლუატაციას,

კინოს, ტელევიზიისა და თეატრის როლებისათვის მსახიობების შერჩევასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

92.72

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

თეატრალური და სამსახიობო სააგენტოების საქმიანობას, დაკავშირებულს პერსონალის შერჩევის ორგანიზებასთან,

იხ. 74.84.0,

სხვა სანახაობრივ-გასართობ საქმიანობას, მაგალითად: საცირკო წარმოდგენებს ან საცეკვაო სკოლების საქმიანობას, იხ. 92.34.0,

სპორტული მოწყობილობებისა და ინვენტარის გაქირავებას,

იხ. 71.40.0,

კულტურისა და დასვენების პარკების, ბაზრობებისა და ატრაქციონების საქმიანობას, იხ. 92.33.0,

აზარტული თამაშების ავტომატების ექსპლუატაციას, იხ. 92.71.0

**თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

ყველა სახის ტანსაცმლისა (ბეწვეულის ჩათვლით) და საფეიქრო ნაწარმის რეცხვას, დაუთობასა და ა.შ., რომელიც იწარმოება მექანიკური მოწყობილობების საშუალებით, ხელით ან მონეტების (ჟეტონების) ჩაშვებით, მოქმედი

მანქანა-ავტომატებით, როგორც მოსახლეობისათვის, ისე სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებისათვის,

გასარეცი თეთრეულის შეგროვებას კლიენტებისაგან და მის მიწოდებას რეცხვის შემდეგ,

93.01.1

სამრეცხაოების მიერ თეთრეულის, სამუშაო ტანსაცმლისა და ანალოგიური ნაწარმის გაქირავებას,

ტანსაცმლის ან სხვა საფეიქრო ნაწარმის რემონტსა და მცირე გადაკეთებას, თუ ის ხორციელდება რეცხვის დროს.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

ტანსაცმლის რემონტს, გადაკეთებასა და ა.შ., თუ ის წარმოადგენს საქმიანობის დამოუკიდებელ სახეს, იხ. 52.74.1,

ტანსაცმლის გაქირავებას, სამუშაო ტანსაცმლის გარდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული ნაწარმის



**ქიმიწმენდა და ლეზვა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

ყველა სახის ტანსაცმლისა (ბეწვეულის ჩათვლით) და საფეიქრო ნაწარმის ქიმიწმენდას მექანიკური მოწყობილობების საშუალებით, ხელით ან მონეტების (ჟეტონების) ჩაშვებით მოქმედი მანქანა-ავტომატებით, როგორც მოსახლეობისათვის, ასევე სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებისათვის,

ხალიჩების, მოფარდულობების, ფარდებისა და შტორების წმენდას,

**93.01.2**

საფეიქრო და ბეწვეული ნაწარმის ლეზვას,

ტანსაცმლისა და სხვა ნაწარმის რემონტსა და მცირე გადაკეთებას, თუ ის ხორციელდება წმენდასთან დაკავშირებით.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

ტანსაცმლის გაქირავებას, სამუშაო ტანსაცმლის გარდა, მაშინაც კი, როცა ის ითვალისწინებს ამ ნაწარმის წმენდას, იხ. 71.40.0

**93.02.0 საპარკმახეროებისა და სილამაზის სალონების მომსახურება**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

თმის დაბანას, შესწორებასა და კრეჭას, დაწყობას, შეღებვას, დახვევას, გასწორებასა და ანალოგიურ სამუშაოებს მამაკაცებისა და ქალებისათვის, აგრეთვე გაპარსვასა და წვერის შესწორებას,

**93.02** სახის მასაჟს, მანიკურს, პედიკურს, მაკიაჟს და მისთ.

შინიონების, პარიკების, თმებისაგან დეკორატიული ნაკეთობების დამზადებასა და შეკეთებას მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთით.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

პარიკების დამზადებას, იხ. 36.63.6

**93.04.0 ფიზიკულ-ტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს:

ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კომფორტის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მაგალითად: თურქული აბანოების, საუნებისა და ორთქლის აბანოების, სოლარიუმების, კურორტების მინერალური წყაროებით, წონის დასაკლები და გასახდომი სალონების, მასაჟის კაბინეტების (სამედიცინო მასაჟის გარდა), ფიზიკური კულტურის ცენტრებისა და მისთ. საქმიანობას,

**93.04**

საზოგადოებრივი ტუალეტების საქმიანობას,

მომსახურებას პირადი ჰიგიენის დაცვისათვის: დეპილაციას, ულტრაისფერი და ინფრაწითელი სხივებით დასხივებასა და სხვა ზოგადჰიგიენურ მომსახურებას.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

სამედიცინო მომსახურებას, იხ. 85.“.

